არასკევი, 16 აპრილი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 პარასკევი 16 აპრილი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, . .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 91 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 91

წლ ური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერ'ს დრ ოს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ, თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის ;გაგზავნა მოესპობა.

შაბათს, 10 აპრილს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში

ლადო ალნიაშვილი.

წირვა და ანდერძი გადახდილ იქმნება დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში და მიცვალებულს კუკიის სასაფლაოზე დაკრძალავენ.

ნინო და **ალექსი მირიანაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი ძმისა, ხოლო მეორე ცოლის ძმისა

ლადო ალნიაშვილისას

წირვა და ანდერძი გადახდილ იქმნება ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზედ. 2—2

სვიმონ და **მარიამ ალნიაშვილები** აცხადებენ გულითადის მწუხარებით გარდაცვალებას დაუვიწყარს

ლადოსას

(ალნიაშვილი).

გამოსვენება დანიშნულია დღეს, 16 აპრილს, დილის ათ საათზედ, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდამ ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზედ. 2—1

ცირკი ძმ. ნიკიტინების,

დარჩება კიდევ რამდენსამე დღეს.

ხუთშაბ თს 16 აპრილს,

დანიშნულია კავკასიური

ჭიდაობა

სამი ჭიდაობა იქმნება ერთს საღამოს

1-ლი ქართული ჭიდაობა **ჯიბგირისა** და **ქიზიყელისა**, ჯილდო ვერცხლის საათი. 2-რე ქართული ჭიდაობა გამოჩენილ ფალავან **ცერაძისა** და **თედო ცხვარის-ჟამიასი**, გამარჯვებულ ჯილდო მიეცემა 25 მან. მე-3 მსურველთა ჭიდაობა. ბოლოს კომიკური პონტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—104—1).

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტალურ სავაჭროში და ხიდიკელისა და გუტერბენგის მაღაზიეებში. ვინც ავტორისაგ დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა ღ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაჩი

დრამა-ლეგენდა ო-დ ალ. სუმბათაშვილის,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სადენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—1)

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში კურს-დამთავრებული ეძებს ადგილს კერძო მამულში. ადრესი „ივერიის“ რედაქციის კანტორაში.

(3—3).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотносги.**

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—2)

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

საზაფხულო ბაღ-

მიხეილის პრასპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო გაზრითურთ

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა ღ ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—10)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ.

ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тпфлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. მ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

,,მოსკოვსკის ვედომოსტის'' აფრთოვნება. სამხედრო ექსპერტის აზრი. იაპონელების გეგმა. ჯაშუშობა პორტ-არტურში. ,,ტაიმსის'' თანამშრომლის გაცხარება. წვრილი ცნობები.

«პეტროპავლოვსკის» დაღუპვა შემთხვევი ბრალია»,—ამბობს «მოსკ. ვედ.»,—ეს ერთი ისეთ მოვლენათაგანია, რომლის აზრი და შინაარსი მხოლოდ ზეცამ უწყის..

ჩვენმა მეზღვაურებმა და მათ ღირსეულ წინამძღოლებმა იციან, როგორც უნდა იმოქმედონ. უბედურება იმათ უვიცობას არ ამტკიცებს, შემთხვევა სრულიადაც არ ამტკიცებს იმათ გამოუცდელობას.

დროა დაწყნარებით გავითვალისწინოთ 31 მარტის უბედურება .. რაც უნდა საგრძნობელი იყოს «პეტროპავლოვსკის» დაღუპვა, ის მაინც არას შეადგენს, წინანდელი ჩვენი ომები, რომ გავიხსენოთ და მაშინდელ დანაკარგს შევადაროთ: ბოროდინოს ომში ერთს დღეს 50,000 კაცი დავღუპეთ; პლევნის მესამე იერიშის დროს 16,000 კაცი მოგვიკვდა.

მაკაროვი კი არ მომკვდარა: «სიკვდილისაგან ცხოვრებად და ქვეყნისაგან ცად«—ნათქვამია საპასექო საგალობელში, სწორედ იმ დღეების საგალობელში, როდესაც სახელოვანი ადმირალი ზღვის უფსკულში ჩაინთქა.

და ეს საგალობელი სრულს სიმართლეა, ვინაიდგან, როდესაც ადმირალი და მისი თანამსახურნი დაიღუპნენ, იმავე დროს უკვდავების შარავანდედით მოსილნი აღსდგნენ საუკუნოდ მარად მადლიერ რუსეთის ერის სამადლობო ხსოვნაში.

—

გაზეთ «დეილიუსის»—სამხედრო ექსპერტი ამბობს, რომ უმთავრესი მიზეზი რუსეთის ფლოტის მოუმერხებლობსა რუსეთ-იაპონიის ომის დროს რუსის მატროსების სრული უვიცობაა. ეხლანდელ სამხედრო გემების მოწყობილობას რიგიანად მოხმარება უნდა, მეტად რთულ და სახიფათო მანქანებისა და ყუმბარების მოსახმარებლად მარტო წერა-კითხვის ცოდნა კი არა კმარა, არამედ ნასწავლი, გონებით განვითარებული კაცები უნდა; მეზღვაურნი დახელოვნებულნი, მეცნიერულად 'განვითარებულნი და გონებით მახვილნი უნდა იყვნენ. იაპონიის ფლოტში წერა კითხვის უცოდნელი მატროსი არ მოიპოვება; რუსის ფლოტში-კი დაბალ მეზღვაურთა შორის წერა-კითხვა მხოლოდ მერვესა და მეათე ნაწილს შეუძლიან. იაპონიამ დიდი ხანია შეიგნო, რომ ერის ჭკუა-გონების განვითარებას ხელის შეწყობა უნდა და ამისათვის სწავლა-განათლება ერისათვის სავალდებულოდ დასდო. ეჭვი არ არის, რომ ამას რუსებიც მალე შეიგნებენ და, თუ ერის განათლების საქმის მოწყობას დაუყონებლივ შეუდგნენ, როგორც კი ეს ომი გათავდება, მაშინ მეტად ნაყოფიერის შედეგის იმედი უნდა ჰქონდეთ».

«ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ამ ექსპერტის სიტყვები, რადგან თავის მსჯელობაში ომის შესახებ ყოველთვის გამჭრიახობას, გონება-მახვილობასა და მიუდგომლობას იჩენსო,—ამბობს «ნოვოსტი».

—

«ნაციონალ ცეიტუნგი» ამბობს, იაპონელების განზრახვა თანდათან გამოირკვაო. იაპონელები ვითომც აპირობენ ალყა შემოარტყან პორტ-არტურს და იქვე ახლო გადიყვანონ თავისი ჯარი. რუსის ესკადრა ჯერ კიდევ ვერ შეუშლის ხელს იაპონელებს, და ლიაოდუნის ნაპირს იაპონელები დაუბრკოლებლად გადიყვანენ ჯარს. პორტ-არტურის მეციხოვნეთა გარდა, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზედ, დაახლოვებით, 30,000 კაცი ჰყავთ რუსებს. ეს ჯარი რომ თავის დროს იმ ადგილს გაჩნდეს, სადაც იაპონელები გადასვლას დააპირებენ, რასაკვირველია, იაპონელებს შეაფერხებს. მაგრამ შეუძლიან თუ არა რუსის ჯარს ერთ ადგილიდგან მეორეზე საჩქაროდ გადასვლა და გადმოსვლა?. სამხრეთით იქნება შესაძლო იყოს. მაგრამ ნახევარ-კუნძულის ჩრდილოეთით კი საეჭვოა... საფიქრებელია, რომ იაპონელები ერთბაშად და მოულოდნელად მიაწყდებიან რომელსამე ადგილს. ამისათვის იაპონელებს საკმაო გემები აქვთ და ჰყავთ ძლიერი ფლოტი, რომელსაც რუსეთის ფლოტი წინ ვერ გადაეღობება, თუ რომ თავი არ გასწირა. ესეთი გაჭირება დაადგება თუ არა, ჯერ არ ითქმის. იაპონელები იმან წაათამამა და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზედ ჯარის გადაყვანა გაბედვინა, რომ მათი ფლოტი შეუდარებლად ძლიერია (ნოვ.).

—

პეტერბურგიდგან «კიოლნ. ცეიტუნგს» დეპეშით ატყობინებენ, ვითომც ადმირალ სკრიდლოვმა სთქვა, უპირველესად ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმარო, რომ პორტ-არტურის ესკადრა ვლადივოსტოკისას შევუერთოვო. თუ რომ ამ განზრახვის განხორციელებამდე მოვახერხეთ ჩვენი ჯარი გემებით რომელსამე ნავთსადგურში გადავიყვანეთ, მაშინ გენერალ კუროპატკინს მიეცემა საშუალება ხელი გაშალოსო (იქვე).

—

სეულიდგან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იწერება, იაპონელები 7 მაისამდე მდინარე ილუზე გადასვლას არ ეცდებიანო. მანამდე კი მოემზადებიან, რომ ერთბაშად სამს ადგილს გადავიდნენ. 3 აპრილს იაპონიის მესამე ლაშქარიც წაიყვანეს კუნძულებიდგან და ჰფიქრობენ პორტ-არტურს ახლო გადასხამენო. დანარჩენი ჯარიც მანჯურიის ნაპირს გადავა, ტაკუშანთან ანუ ტატუნკოუსთან, და ლიაოიანისკენ წავა იმ დროს, როდესაც სხვა ჯარებიც იქითკენ გასწევენ. პირველად რუსების ჯარს გენერალ ინეუინეს დივიზია შეხვდება, რომელშიაც 16,000 კაცია. უმთავრეს ბანაკად-კი იაპონიის ჯარს კიშიენჯინი და იჯუ აქვს ამორჩეული (რ. ვ.).

—

იაპონელების განზრახვა გამოირკვაო, — ამბობს «დელი ექსპ.»-იც. იაპონელები ვითომც სცდილობენ თავისი ჯარი გადიყვანონ ზოგი ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დასავლეთით და ზოგიც მდინარე ილუს დასავლეთით, დაგუშანს. მაგრამა ნამდვილად კი ემზადებიან და-ლიანვანის და ძინ-ჯოუს ნავთსადგურებში გადასხან ჯარი. ამ რიგად პორტ-არტურს ალყას შემოარტყამენ. ეს განზრახვა იმითიც მტკიცდება, რომ იაპონელები ეხლა მიაოდაუს კუნძულზე გროვდებიანო (იქვე).

—

ხარბინიდგან «ფრანქფურტ. ცეიტუნგს» ატყობინებენ:

ბეჯითად ამბობენ, ვითომც იაპონელებს თავის დროზის ქვეშ ინგლისისა და ამერიკელების გემებიც დაჰყავთო. ირწმუნებიან, ვითომც ხშირად ახალ-ახალი გემები უჩნდებათ, რომლებიც კონსტრუქციით იაპონელების გემებს სრულიად არ წააგვანან. სარწმუნო ცნობებით ამტკიცებენ, რომ პორტ-არტურში ინგლისელი ჯაშუში დაუჭერიათ და დიდის სიფრთხილით მუკდენს გაუგზავნიათ, ოთხიც სხვა ინგლისელი საეჭვოდ მიაჩნიათ. «კლერკსონის» ფირმის გამგებელი გაქცეულა და გაფაციცებით დაეძებენ. ამ სამის კვირის წინად გაპარულა აგრეთვე ვიღაც რალლი, ამერიკელი, რომელიც იაპონელების სამსახურში ყოფილა...

პორტ-არტურში დიდძალი სურსათია, ორის წლის საკმაო. ეს რავდენიმე თვეა, რაც სამხრეთ-მანჯურიაში ფქვილს აგროვებენ პორტ-არტურისათვის. მუკდენიდგან დაწყებული, რკინის გზის ყოველ სადგურზედ მრავალი ტომრები აწყვია, მანჯურულ ცერცვით სავსე. ცხენების საკვები აქედგან ყოველ დღე კორეის საზღვრებისაკენ იგზავნება. მანჯურულ ცხენებს, რომლებიც ყაზახებსა ჰყავთ, ამ ცერცვითა ჰკვებენ. ჩინელები ცერცვის ზეთსა ჰხდიან.

მოიჯარადრე ციმერმანმა რავდენიმე ასი სული საქონელი მორეკა პორტ-არტურისათვის. რადგან ცოცხლად საქონლის გაგზავნა ძნელია, აქა ჰხოცავენ ხორცსა ჰყინავენ და ჩინელების ხომალდებით გზავნიან. ციმერმანი არწმუნებს ჩინელებს, ვითომც დროებით მშვიდობიანობაა და ნურაფრისა გეშინიათო. პორტ-არტურში ჩინელების ხომალდები იაპონელების სამხედრო გემები ჰგონიათ და ერთი ალიაქოთი შეუდგებათ ხოლმე, ხოლო შემდეგ დიდის სიხარულით ეგებებიან და ნავთსადგურში შეჰყავთ. ერთს ჩინელს გენერალ სტესელმა 100 მანათი აჩუქა, ციმერმანი კი 1,000 მანათით დააჯილდოვა. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან «დელი ექსპ.»ს ატყობინებენ: ერთმა წარჩინებულმა იაპონელმა სთქვა, იაპონია ეცდება სამუდამოდ დამკვიდრდეს კორეაშიო. თავის ჯარს დააყენებს, ციხე-სიმაგრეებს ააგებს, რკინის გზებს გაიყვანს და ამ რიგად რუსეთს სამუდამოდ დაუხშობს კორეიასაო, როდესაც ყოველსავე ამას შეასრულებს, მაშინ იაპონია უარზედ აღარ დადგება, რომ ზავი ჩამოვარდესო. (ბ. ვ.).

—

„დელი ტელეგრაფი“ იუწყება, ჰეკინსა, ტიანძინსა და დიდის გალავნის სამხრეთით რავდენსამე პროვინციაში კვალად დაიწყო გაცხარებული მოქმედება საიდუმლო საზოგადოებამ, რომელმაც 1900 წ. ხალხი ააჯანყა და მისიონერების ხოცვა დაიწყოვო. ჩინეთში ქრისტიანები ძალიან შიშობენ, «მოკრივეთა» მოძრაობა არ განახლდესო. (ბ. ვ.).

—

რუსეთის ადმირალის განკარგულება, რომ კორესპონდენტებს იღარ შეეძლოთ უმავთულო დეპეშები ჰგზავნონ ომის ველიდგან, ტაიმსის კორესპოდენტი შეუშფოთებია.

«ტაიმსი» ერთად-ერთი გაზეთია, რომელსაც უმავთულო დეპეშების გაგზავნა შეუძლიანო,—სწერს კორესპოდენტი,—და რუსების მუქარა, განკარგულების დამრღვევი ჯაშუშად ჩაითვლებაო, მხოლოდ მე შემეხება. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია ჩემი მდგომარეობა გამოვარკვიო და მით სახელმწიფოთა დახმარება ვითხოვო, რომელთა ქვეშევრდომების ინტერესები შებღალულ იქმნება «ტაიმსის» კორესპოდენტის შევიწროვებითაო.

საერთაშორისო კანონებით, ჯაშუშად ის ჩაითვლება, ვინც თავის ვინაობას დამალავს, ჩუმად შეიპარება მეომარის სამფლობელოში და მის მოწინააღმდეგეს ცნობებს მიაწოდებს.

მე რომ რუსის წყალზედ დავცურავდე და იაპონელებთან დაახლოვება მქონდეს, მაშინ შეიძლებოდა ჯაშუში მიწოდონ, ხოლო არც ერთსა და არც მეორეს მე არ ჩავდივარ. მე ისეთის სისტემის ტელეგრაფი მაქვს, რომ ვერც რუსისა და ვერც იაპონიის სატელეგრაფო მანქანები ჩემს დეპეშებს ვერ დაიჭერენ, საიდუმლო ნიშნებ თაც რომ არ იგზავნებოდეს; მე კი საიდუმლო ნიშნებით ვგზავნი. ჩემი ცნობები ნეიტრალურ კაბელით მიდის და მერე ლონდონს იგზავნება. დეპეშების შინაარსს ვერავინ გაიგებს.

რუსეთის წყლებზე მე სრულიად არ მივლია. დეპეშას იმ დროსა ვგზავნი, როდესაც ზღვაზე ვარ და ნეიტრალურ წყლებზე.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი დეპეშები სამხედრო მოქმედების შესახებ, რაც მე ჩემის თვალით მიხახავს, იგზავნებოდა სანეიტრალო კაბელამდე რავდენისამე საათის განმავლობაში. არც ერთს სახელმწიფოს აზრადაც არ მოსვლია სანეიტრალო კაბელს ზვერა და ჩხრეკა დაუწყოს. უმავთულო ტელეგრაფი-კი მხოლოდ იმისთვის არის შემოღებული, რომ დეპეშები დაუყოვნებლივ იგზავნებოდეს.

იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოები, რომელთა ინტერესაბი და უფლება შეიბღალა რუსების განკარგულებით, ყოველ ღონისძიებას იხმარებენ, რათა საჯაშუშო კანონი მხოლოდ რუსეთის წყლებზე მოქმედობდეს». (პ. ვ.).

—

პეტერბურგიდგან „კენისბ. გაზეთს“ ატყობინებენ, პორტ-არტურის ნაპირს ზღვამ გამორიყა რავდენიმე დამრჩვალის მატროსისა და აფიცრის გვამი. მათ შორის ვითომც ადმირალ-მაკაროვის გვამიც იპოვესო (ნ. ვ.).

ტფილისი

—

*** დღეს, 16 აპრილს, მიწას მიაბარებენ ახლად გარდაცვალებულის მოღვაწის ლადო აღნიაშვილის გვამს. მიხეილის სავადმყოფოს სამლოცველოდან ქაშვეთის ეკლესიაში გადმოასვენებენ მიცვალებულს.

*** 18 მაისს კრება იქმნება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა.

*** წარსულის წლის განმავლობაში ტფილისის ქალაქის პირველ ღამის თავ-შესაფარში ღამე გაუთევია სულ 30,678 ადამიანს. ამათგან ყოფილა რუსი: 11,124 კაცი, 1,150 ქალი, სომეხი: 11,575 კაცი, 950 ქალი, ქართველი: 3.901 კაცი, 555 ქალი, თათარი 377, გერმანელი—92 პოლონელი—624.

*** განზრახვა აქვთ, ცხენის რკინის გზა გაიყვანონ ვერაზედ, სადაც ამ ჟამად სასულიერო სემინარიის და სათავად-აზნაურო სკოლის შენობები შენდება. ცხენის რკინის გზის გაყვანას კერძო კაცები კისრულობენ.

*** წელს ტფილისის დედათა გიმნაზიაში შესვლა ვისაც სურს, ეგზამენი 25 მაისს უნდა დაიჭიროს. მოსწავლეთ მხოლოდ მოსამზადებელსა და პირველ კლასში მიიღებენ, რადგანაც დანარჩენ კლასებში ვაკანსია არ არის.

*** ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 25 აპრილისათვის. კრება განიხილავს წარსულის წლის ანგარიშს, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას და აირჩევს საზოგადოების თავჯდომარეს, ხაზინადარს, ზედამხედველ კომიტეტის ორ წევრს და სარევიზიო კომისიის წევრებს.

*** გუშინიდან დღეისთვის გადაიდო საზოგადო კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრებამ, სხვათა-შორის, უნდა განიხილოს საზოგადოების წევრის ბ-ნ ვერმიშევისა მოხსენებს იმ ღონის-ძიებათა შესახებ, რომელიც მიწად მოქმედების სამინისტროსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომიტეტმა შეიმუშავა მეღვინეობის გასაუმჯობესებლად.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ წელს 57 ათასი მანეთი გადასდო ტფილისის ქუჩების მოსაკირწვლავად, მაგრამ დღემდე არა გაუკეთებია-რა. ამიტომ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, დააჩქარეთ ქუჩების მოკირწვლაო.

*** ნელ-ნელა ირკვევა, რომ ქალაქის მიწები ათასს ვისმე მიუთვისებია. ამ დღეებში ტფილისის ქალაქის ინჟენერმა აცნობა საალმშენებლო განყოფილებას, ნავთლუხის ქუჩაზედ ქალაქის მიწა ვიღაცამ მიითვისაო.

*** მოკლე ხანში დაინიშნება შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ხმოსან ტეხნიკოსებისა. კრებამ უნდა განიხილოს თავ. ჩოლოყაშვილის მოხსენება ტფილისის ქუჩების განათების შესახებ.

*** კვირას 18 აპრილს, ნაშუადღევის პირველს საათზედ აკურთხებენ ტფილისის ქალაქის სავადმყოფოს დიდუბის განყოფილებას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის აგენტებმა გაჰბედეს და გუშინ და გუშინწინ 30 ოქმზედ მეტი შეუდგინეს ტფილისის ყასაბთ, რომელნიც დაწესებულ ნიხრის ზევით ჰყიდიან ხორცს.. ქალაქის გამგეობის აგენტნი ახლაც დაიარებიან ბაზრებში.

*** გორის საოსტატო სემინარიის მთავრობას განუზრახავს, უფროსი კლასების მოსწავლენი კვირას, 18 აპრილს, ტფილისში ჩამოიყვანოს. მოსწავლენი კავკასიის მუზეუმსა და ტფილისის შესანიშნავს ადგილებს დაათვალიერებენ.

*** ვარაზის ხევ-გაღმის მცხოვრებთა და მემამულეთ შეეკითხა ქალაქის გამგეობა, რა ვალდებულებას იკისრებთ, რომ ის მიდამო, სადა სათავად-აზნაურო სკოლის შენობას აგებენ, მეორე ხევამდე ქალაქის საზღვრებში ჩაურთოთო. ამ საგანზედ კვირას, 11 აპრილს კრება იყო იქაურ მემამულეთა და გადასწყვიტეს, რომ ვიკისრებთ ყოველ იმ მოვალეობის შესრულებას, რასაც ქალაქის დებულება ავალებს საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებთაო.

*** 13 აპრილს სადამოზედ ექსარხოსთან კრება იყო იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს, რით უფრო მოსახერხებელია და სამჯობინო დაიხუროს მცხეთის ტაძარი. კომისსია ორ ნაწილად გაიყო; ერთი ამტკიცებს, საჭიროა გადავიღოთ ქაღალდზედ გეგმა მთლად ეკკლესიის ყოველის ნაწილისა, რათა გამოირკვეს, რა მიზეზით არის გამსკდარი კედლები, სიმძიმე ხომ არ არის მიზეზი ზემო თაღებისაო და მაშინ დავხუროთ თუნუქით ან სპილენძის ფირფიტითაო, ხოლო თუ არა, მაშინ ლომფინით ძველებურადო. ამ გადაღებას თურმე დასჭირდება დიდი ფული. მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, კედლები დახეთქილია იმიტომ, რომ თანაბრად არ დაუწევია კედლებს მიწაში, ზოგან მიწას უმტყუნი, ზოგან არაო და ეს გარემოება საშიში არ არისო, შეიძლება ლომფინით დაიხუროსო. კომისიის პირველის ნაწილის მოსაზრება რომ მართალი იყოს, პირველივე მიწის ძვრა ძირს დასცემდა კედლებსაო. ორივ აზრი კომისიისა სინოდში გაიგზავნა და უნდა იქმნას გადაწყვეტილი საკამათო საგანი.

*** 20 მაისს სრულდება 60 წელიწადი კომპოზიტორის გლინკას გარდაცვალების შემდეგ. ტფილისის სამუსიკო დაწესებულებანი დიდის ამბით აპირობენ იდღესასწაულონ ეს დღე. სახემლწიფო თეატრში გაიმართება მუსიკალური საღამო სხვადა-სხვა ხოროსა და ორკესტრის მონაწილეობით.

*** 23 აპრილს დანიშნულია იმავე თეატრში სამუსიკო საღამო ხოროებისა და ორკესტრების მონაწილეობით რუსეთის ფლოტის გაძლიერების სასარგებლოდ. ორკესტრში 300 კაცამდე მიიღებს მონაწილეობას.

*** ჩამოვიდა პეტერბურგიდგან კავკასიის მუზეისა და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის თანაშემწედ დანიშნული ბ-ნი შმიდტი, რომელიც განაგებდა სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიურ განყოფილებას.

*** შემდგარა უკვე ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმა ტფილისის მიხეილის სახელობაზედ დაარსებულის სატეხნიკო სასწავლებლის შენობათა გასაფართოებლად.

*** ბ-ნმა გ. ყარანგოზოვმა ქაღალდი შეიტანა ქალაქის გამგეობაში და ითხოვა, გადასცენ მას, როგორც რწმუნებულს ამხანაგობისას «ნათელი», განათება ქალაქის ქუჩებისა ახალის სისტემის ფარნებითა (керосино-калильные фонари). გამგეობამ მისი ქაღალდი გადასცა ცალკე კომისიას თავის აზრის დასასკვნელად.

*** 12 აპრილს მნაცაკანის ხიდთან მტკვარში თევზს იჭერდა ანკესით ცხრა წლის ბავშვი ილია ჯაარშანოვი, უცებ გადავარდა მტკვარში და დაიხრჩო. გვამი დღესაც არ უპოვიათ.

*** 12 აპრილს გრიბოედოვის ქუჩაზედ მეეზოვემ იპოვა ორის კვირას ბავშვი მამრობითის სქესისა. ბავშვი საბავშვო ინსტიტუტში წაიყვანეს.

*** ქალაქის გამგეობამ შეადგინა სია იმ უპოვარ კაცთა, რომელნიც წელს მოწვეულ იქმნებიან სამხედრო ბეგრის გადასახდელად.

*** 12 აპრილს დავით მელასარიანცი, სამთვრალის დროს, ვანქის სობოროს გალავნის კედლიდამ ძირს გადავარდა და საშიშრად დაშავდა. მელასარიანცი 20 წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

*** მეხალე და მეპურე ხშირად ერთად დაიქირავებენ ხოლმე მეხოიას და იქ ჰყიდიან ხილსაც და პურსაც. ქალაქის დებულების ძალით, ერთად გაყიდვა პურისა და ხილისა აკრძალულია, ამიტომ ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობამ შესაფერი განკარგულება მოახდინა.

ლადო აღნიაშვილის გარდაცვალების გამო

ქუთაისიდან მოგვივიდა შემდეგი წერილი ჩვენის თანამშრომლის ბ-ნ თ. ხუსკივაძისაგან:

გუშინდელმა «ივერიამ» ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. შაბათს, 10 აპრილს ტფილისის საავათმყოფოში გარდაიცვალა ლადო აღნიაშვილიო. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველს დასწყვავდა გულს ლადოს გარდაცვალება, მაგრამ მე, მის გულითად მეგობარს და სკოლის ამხანაგს კი უმეტეს მომიკიდა ცეცხლი ასე უდროვოთ, ასე ტანჯვით შეჯაჭულ-შებორკილმა მისმა სიცოცხლის მოსპობამ. ძნელია მეგობრის დაკარგვა, მაგრამ უფრო ძნელი ის არის, როდესაც არა მარტო შენს მეგობარს, შენი პირადი სიამოვნების დამაკმაყოფილებელ კაცს ჰკარგავ, არამედ საზოგადო მოღვაწეს, ეროვნულ სიცოცხლით გატაცებულ ახალ-გაზრდას, ჭეშმარიტების თავდადებულ მქადაგებელს, ბოროტების მგმობელს ჯვარზე მცმელს და თავის ქვეყნის მხურვალე სიყვარულით ოტრფიალეს. დიაღ, ძნელია ასეთი კაცის დაკარგვა ასე ადრე, ასე ნორჩადვე და მით უმეტეს იგლოვს ლადოს დაკარგვას ყოველ ნამდვილ ქართველის გული. მეც ვუერთებ ჩემ გულითად მწუხარებას ჩვენი ქვეყნის ერის გრძნობიერ გლოვას და მასთან ერთად ვუსურვებ ამ წუთის სოფელში ტანჯულ-წამებულ ლადოს იმ სოფლათ მაინც სულის სიმშვიდეს და ქრისტეს მიერ მყუდრო საუკუნო ცხოვრებას.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

დარიგება.

—

გაზეთმა «ივერიამ» თავის დროზედ გააფრთხილა ჩვენი აბრეშუმის ჭიის მომვლელნი თესლების დროზედ შეძენის შესახებ, მაგრამ გაფრთხილებით უსარგებლნია მხოლოდ «ივერიის მკითხველს, დანარჩენს კი თესლი უკვე დიდი ხანია შეუძენია (უმრავლესობას). რადგანაც იმათ ისეთი ბინა არა აქვთ, რომ თესლების შენახვა რამოდენიმე თვეს შეიძლებოდეს და ამასთანავე სუსხიანი გაზაფხულიც თუ ვიქონიეთ სახეში, ამიტომ, საწუხაროდ, მოსალოდნელ მოსავალს ვერ მიიღებენ და, შესაძლებელია, ჭიებს ბევრ ნაირი სენიც დაემართოს. იმათ კი, ვინც ამ ჟამად შეიძენენ თესლებს, თუ კარგად მოუვლიან და ამინდებიც ხელს შეუწყობს, უსათუოდ კარგი მოსავალი ექნებათ. გაფრთხილების დროს პატივცემულ მკითხველებს მე დავპირდი მოკლე დარიგებას აბრეშუმის ჭიის რიგიან მოვლაზედ და ეხლა სიამოვნებით შეუდგებით მის სისრულეში მოყვანას. დარწმუნებული ვართ, ამ დარიგებით ისარგებლებენ ისინიც, ვინც «ივერიას» არ კითხულობენ: მკითხველების პრაქტიკა, დამყარებული დარიგებაზედ, მათთვინ არა ნაკლებ გამოსადეგი იქნება.

უწინარეს ყოვლისა მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებას:

ა) აბრეშუმის თესლი *) უნდა იქნეს «ცელლულიარული», ე. ი. ისეთი, რომელსაც არა აქვს შეყრილი სენი «პებრინა».

ბ) თუ თესლი ინახებოდა სუნიან და შეხუთულ ჰაერში, სითბო-სიცივის რყევაში, მაშინ თესლის მომეტებული ნაწილიდგან მური (ჭია) არ გამოიჩეკება, ან ბევრი გამოჩეკილი დაიხოცება, ან, როგორც ლაპარაკობენ, «ჭია გაიპარება». დანარჩენი ჭიები ისეთი სუსტები გამოდიან, რომ ჩვეულებრივ მოვლასთან მათი დასუსტებული ტანი ადვილად ხდება მსხვერპლად სხვა-და-სხვა სენისა.

გ) თუ თესლი ცელლულიარული იყო და რიგიანი მოვლა ექნა, მაშინ ჭიის ცხოვრება ამ ნაირად მიმდინარეობს: მთელს მის სიცოცხლეში, პარკების გაკეთების დაწყებამდე, ის ოთხჯერ იცვლის კანს. დროს ერთ კანის გამოცვლიდგან მეორე კანის გამოცვლამდე, ეძახიან «ჰასაკს». ჭიას აქვს ხუთი ჰასაკი. კვერცხიდგან გამოჩეკის დღიდგან პირველ კანის გამოცვლამდე იქნება პირველი ჰასაკი. თვითეული კანის ტანიდგან მოშორებას და მის ქვეით ახალ კანის მომზადებას უნდება ერთი ან ერთ ნახევარი დღე. თუ კარგი მოვლა აქვს, საშუალო რიცხვით, ჰასაკი ასე გრძელდება:

პირველი ჰასაკი—ხუთი დღე; პირველი კანის ცვლა ერთი—ერთ-ნახევარი დღე.

მეორე—ხუთი დღე; მეორე კანის ცვლა ერთი—ერთ-ნახევარი.

მესამე—ოთხი დღე; მესამე კანის ცვლა ერთი—ერთ-ნახევარი.

მეოთხე—ექვსი დღე; მეოთხე კანის ცვლა ერთი—ერთ ნახევარი დღე.

მეხუთე ჰასაკი გრძელდება შვიდ დღიდგან თორმეტ დღემდე.

ამის შემდეგ ჭია იწყებს პარკის ქსოვა-

---

*) უმჯობესი იქნება, მეაბრეშუმეებმა შემოიღონ ტერმინი: «აბრეშუმის ჭიის კვერცხები» და არა «თესლი», „გრენა“, რადგანაც ეს მართლაც კვერცხია და არა თესლი. ნ. მ.

ვას. ამ ნაირად პარკის ქსელვის დაწყებამდე ჭიას უნდა მოუნდეს მოვლა სულ ოცდა თოთხმეტ დღემდე, მაშინ როდესაც ჩვენში ჭიის ჭმევას და საზოგადოდ მოვლას აკვდებიან ორმოც-და-ათ დღემდე და ძალიან ხშირად საქმე თავდება იმით, რომ მომვლელნი ცარიელზე რჩებიან და ცრემლით იღვრებიან.

ჭიამ უნდა მოათავოს პარკის ქსელვა სამს დღეს. შემდეგის იცვლება «ბოჟად», რომლის მოთავებას უნდა ხუთი დღე. პარკების შეგროვება შეიძლება ამ ხუთ დღის გათავების შემდეგ, ან პარკის ქსელვის დაწყებიდგან მერვე—მეცხრე დღეს. ბოჟი პარკში გადაიქცევა პეპელად, რომელიც თავის დროზედ გამოდის პარკიდგან, კვერცხებსა სდებს და კვდება. ვისაც უნდა საქმის გათავება მალე და კარგად, უნდა მოიქცეს თანხმად ქვემორე მოხსენებულ დარიგებისა.

თესლის შეძენა. [1]

ვისაც ჯერ თესლი არ შეუძენია, უნდა შეიძინოს იმ დროს, როდესაც თუთის ხეებზედ შეატყობს კვირტების სრულიად დამწიფებას, დამსხვილებას, რომელიც მალე გაიშლება.

რამდენი მისხალი თესლი უნდა შეიძინონ.

ერთ მისხალ თესლიდგან გამოსულ ჭიების დასაჯდენად საჭირო არის ათი კვადრატული არშინი ადგილი და ფოთოლი უნდა ათ ფუთამდე. მაშ, რამდენიც ათი კვადრატული არშინი ადგილი გაქვთ და რამდენიც ათი ფუთის ფურცელი, იმდენი მისხალი თესლი უნდა იყიდოთ. ყოველი ზედ მეტი იქნება ხელისშემშლელი.

ს. მეკურნალი.

(შემდეგი იქნება)

კახელ მევენახეთა საზოგადო კრება

(შემდეგი *)

10 მარტს, დილის 11 საათზედ დაიწყო კრება. წაკითხულ იქმნა გადაწყვეტილებანი, 8 და 9 მარტს მიღებულნი

დაიწყო შესწორება ოქმებისა. ამან კარგა დრო მოინდომა, რადგანაც სამი კრების ოქმი იყო შესასწორებელი. 9 მარტს საღამოს მომხდარ კრებაზედ სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა გადაცემულ იქმნა სარევიზიო კომისიისადმი, რადგანაც საზოგადო კრებამდის სარევიზიო კომისიას ვერ მოესწრო იმისი განხილვა. დღეს ზოგნი თხოულობდნენ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას. თავმჯდომარე კრებისა თხოულობს კრებისაგან, მისცეს ნება სიტყვისა, როგორც წევრს, რადგანაც, როგორც თავმჯდომარეს, არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კამათში. კრებამ მისცა ნება. თავმჯდომარე უხატავს კრებას სურათს, როგორი დაბრკოლება ჰქონია გამგეობას ერთის მხრივ იმოდენა ზედმეტად გატანილი ფულის გამო და მეორეს მხრივ მეტი ღვინის გაუსაღებლად დარჩენის გამო. უთითებს წინა კრებაზედ განხილულ სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვის ჯამზედ და დაასკვნის, რომ 3500 მან. ხარჯის მიმატება იმას მიჩნია დაბრკოლების უფრო გამაძლიერებელ მიზეზთაგანად. ამ სიტყვამ აალელვა ისინი, ვისი მეცადინეობითაც მუდმივი რევიზორის საქმის მოწყობა მოხდა. ამ ალელვების დროს რამდენიმე ერთად ლაპარაკობენ. მომეტებულნი იმ აზრისანი არიან, რომ გადაწყვეტილება რევიზორზედ იმ სახით დარჩეს, როგორც მიიღო კრებამ წინა საღამოს.

თავ. ალ. ვახვახოვი. მე, როგორც ის ვახვახოვი, რომელიც ოქმშია მოხსენებული, ვაცხადებ უარს რევიზორის თანამდებობაზედ, თუნდა გამგეობამაც ამომირჩიოს და, როგორც წევრი, ვითხოვ, რევიზორზედ გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში იმავე სახით დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ სარევიზორო ხარჯზედ ახლად იქმნება კამათი გამართული, ვთხოულობ, ზედ-მეტად გატანილ ფულზედ და ურთიერთ დამხმარებელ ფონდის დაარსებაზედაც ახლად გავმართოთ კამათი.

მინამ თავ. ვახვახოვი თვის აზრის გამოთქმას მოასწრობდა, რამდენჯერმე გაწყვეტინეს ლაპარაკი, აცხადებდნენ პროტესტს ვახვახოვისაგან რევიზორის თანამდებობაზედ უარის წინააღმდეგ.

თავ. ალ. ვახვახოვი. რაკი ასეა, მე თანახმა ვარ კრების თავმჯდომარისა, რევიზორი საჭირო არ არის, ტყუილად და უდროვოთ გავიღებთ ამ ხარჯსა, გამგეობის წევრს ადვილად შეუძლიან დაიჭიროს ადგილი რევიზორისა.

ამან უფრო დიდი პროტესტი გამოიწვია. თავ. მ. ჩოლაყაშვილმა აიმაღლა ხმა და სთქვა, შემიძლიან დავამტკიცო, რომ არც ერთ განყოფილებას რევიზიას არ უშვრება გამგეობა, ამიტომ განყოფილებათა საქმე ყველგან ცუდად მიდის. რევიზორზედ კრების გადაწყვეტილება დიდად სასარგებლოაო. მღელვარება მატულობდა. რამდენიმე ერთად ლაპარაკობდა. თავმჯდომარის ზარის ხმა აღარ ისმოდა. თავ. ვახვახოვმა სთქვა, მე საღამოდის ვილაპარაკებო. თავმჯდომარეს უნდოდა კრება დაეხურა, მაგრამ დამსწრეთ არ უყვეს. ამასობაში კრება შესწყდა. დამსწრენი ჯგუფ ჯგუფად დაიყვნენ, 10 წუთის შემდეგ ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა. თავ. ნ. აბაშიძემ ღვინის ფასის დაკლებაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

ნადიკვრელი.

(დასასრული იქნება)

კავკასია

ერევანი, აპრილის 10. ექვს ამ თვისას ერევანს გამოემშვიდობა ოჯახობითურთ ქარმაგი ადმინისტრატორი თ-დი მიხეილი ალექსანდრეს ძე ნაკაშიძე, რომელიც წარჩინებით ვიცე-გუბერნატორობდა ერევნის გუბერნიაში 1892 წ., და ამ ჟამად, როგორც «ივერიის» მკითხველებსაც მოეხსენებათ, დანიშნულ იქმნა ბაქოს გუბერნატორად.

დიდი დასაკლისი იყო ჩვენთვის, ერევნელებისათვის, ისეთის ღვაწლ-მოსილის გამგეს მოშორება, როგორიც იყო აქაურობისათვის თ-დი მ. ა. ნაკაშიძე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სასიამოვნოდ დაგვრჩა ყველას მისი ასეთი შესანიშნავი წარჩინება, მეტადრე ამ ბურუსით მოცულ დროს, როცა ყოველსავე და ყველაფერს ადგილობრივს, მკვიდრს კათაკმეველობის როლი სურთ დააჩემონ არა მკითხე მზრუნველებმა...

ბაქო პირველი გუბერნიაა მთელს იმპერიაში შემოსავლის მხრივ და პირველი მთელს კავკასიაში მცხოვრებლების რაოდენობითა და დოვლათიანობით. თვით ბაქოს ქალაქის შემოსავალ-გასავალი მეტობს კავკასიის სხვა ქალაქებისას, ასე რომ როგორც მთელს გუბერნიას, ისე ქალაქს ბაქოს თამამად შეუძლია პირველობა მთელს რუსეთში თუ არა, კავკასიაში მაინც განათლებისა და ცხოვრების კულტურულ მოწყობილობის მხრივ. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ... თვით ბაქოს მაგალითად ამ მრავალ შემოსავლიან ქალაქს, უპირველესს სავაჭრო ადგილს, სასმელი წყალი არ მოეპოვება, და ბაქოელი, განურჩევლად შეძლებისა და წოდებისა, იძულებულია სვას ნავთით გალეღენთილი ზღვის ვითომ და დაწმენდილი წყალი. ყველაფერი ესე სჭირს ბაქოს გუბერნიასა და ქალაქს არა უფულობით, არა სურვილის უქონლობით, არამედ იმიტომ, რომ მათ გამგეობის საჭესთან დღემდის არ მდგარა კაცი, რომლის კეთილ-განზრახვას თან ხლებოდა თაოსნობა, ცოდნა და სიმხნე მოქმედებისა. ყველაფერი ეს ღირსება აქვს ბაქოს ახალ გუბერნატორს, რომელიც თავის ახალ საგამგეოს მიანიჭებს სწორედ იმას, რაც აკლია, და თვით კი იპოვნის იქ, რაც გამოჩინებულ ჰყოფს მისს ადმინისტრატულს ნიჭსა და შრომის მუყაითიანობას: უპირველესს ცხოვრების საჭიროებათა დაუკმაყოფილებლად საჭირო ქონებრივს შეძლებას მოუპოვებს.

თ-დ მ. ა. ნაკაშიძესთან ერთად ერევნელები გამოვემშვიდობეთ აგრეთვე მისს მეუღლეს, აქაურს ცნობილს ქველ-მოქმედს—კნეინა ადელაიდა ლევის ასულს ნაკაშიძისას. დაუფასებელია ის ამაგი, რაც ამ საპატიო მანდილოსანმა გაუწია აქაურ საქალებო გიმნაზიას. 1894 წ. მან მიიღო თავმჯდომარეობა ერევნის წმ. რიფსიმეს სახელობაზე დაარსებულის ოთხკლასიანის სასწავლებლის გამგეობისა. სასწავლებელს მაშინ ჰქონდა: ორი ნანგრევი, რომელთაგან ერთში თვით სასწავლებელი იყო მოთავსებული, და მეორე ყორეს გროვას წარმოადგენდა მხოლოდ. იმ დღიდგან დღევანდლამდე კნ. ადელაიდას თაოსნობისა და საქმის ერთგულების წყალობით წმ. რიფსიმეს სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნა სრულ გიმნაზიად (1900 წელს), რომელიც ამ ჟამად მოთავსებულია ჩინებულს ორ-სართულიან ქვითკირის შენობაში. გარდა ამისა სასწავლებლის გამგეობა იღებს ყოველ წლიურს სუბსიდიას მთავრობისაგან 3000 მ., აქვს ნაღდ ფულად 18,000 მან. თანხა და ყოველ წლიურად შემოდის 4,500 მ. ოლქის სასამართლოს შენობიდან, რომელიც აშენებულ იქმნა კნ. ადელაიდის თაოსნობითვე იმ ადგილს, სადაც მას დახვდა ნანგრევ ყორეს გროვა.

X.

ნარკვევი.

„რუსკი ინვალიდი“ ასე ახასიათებს განსვენებულ ადმირალ მაკაროვს:

„შეიარაღებული იყო ახლანდელ საზღვაო ტეხნიკის ცოდნით. იყო თაოსანი და ნიჭიერი მომგონი სატეხნიკო გაუმჯობესობისაც. ხასიათით ცოცხალს, სულით მხნე, ზღვის შეჩვევითა და სიყვარულით ნამდვილი, მოწოდებით მეზღვაური იყო. თავის უკანასკნელ სალიტერატურო თხზულებას ეპიგრაფად ტყუილად არ დააწერა: «გახსოვდეს ომიო». მისმა სიკვდილმა მჭევრ-მეტყველობით დაამტკიცა სიმართლე მისის აზრისა და მსჯელობისა, ყოველის მისის ეჭვისა, შიშისა და წინასწარმეტყველებისა, რომელიც მან გამოსთქვა ეხლანდელ ჯავშნიან ფლოტის შესახებ. სულით ძლიერს, რომელიც არავითარ დაბრკოლებას არ უფრთხოდა და არც დაეძებდა, მცირედი ნდობა ჰქონდა ჯავშნისა. დროა უარ-ვყოთ ის აზრიო,—სწერდა მაკაროვი, რომ ვითომ ჯავშანს შეუძლიან რისიმე დაცვა; ჯავშანს ისევე დაემართება, რაც დაემართა ბეგთარსაო,—წინასწარმეტყველობდა მაკაროვი ჯერ ჯავშანს გაასქელებენ და გაადიდებენ, მერე აიღებენ და სულ გააუქმებენ, უარს ჰყოფენო. გამართლდა საერთოდ ის აზრი მაკაროვისა, რომ ჯავშანს არაფრის დაცვა არ შეუძლიანო. იმ გემს, რომელზედაც მაკაროვი იყო, ჯავშანი ჰქონდა შემოკრული, მაგრამ მაინც დაიღუპა, როგორც ფლოტის უფროსი და მთელი მისი შტაბი, ისე ზედ-მყოფნი მეზღვაურნიცა».

განსვენებული მხატვარი ვერეშჩაგინი, მაკაროვთან ერთად დაღუპული, ასე ახასიათებდა ჯარის ეხლანდელს მთავარ-სარდალს კუროპატკინს, როცა ჯერ ისევ პოლკოვნიკი იყო და სკობელევის პატარა ჯარში მთავარს შტაბს უფროსობდა:

«პოლკოვნიკი კუროპატკინი, თქმა არ უნდა ერთი საუკეთესო ოფიცერთაგანია. მაღალის ტანისა არ არის, მამაცია, გონიერი და დინჯი. ხასიათით სრულიად არა ჰგავდა სკობელევს, რომელიც დიდის ხნის მეგობარი იყო მისი, პატივსაც დიდადა სცემდა და აფასებდა კიდეც, თუმცა ხშირად ეკამათებოდა სკობელევს. კამათში, უნდა ვსთქვათ, ეს გონიერი უფროსი შტაბისა უფრო მართალი იყო ხოლმე, ვიდრე ბრწყინვალე, და გატაცებული გენერალი.

«კუროპატკინი წინააღმდეგი იყო, მაგალითად, იმისი, რომ ზამთარში ჯარების გადასვლა ბალკანეთის მთებზედ შეცდომა არ იყო რადეცკიც ამ აზრისა იყო. სკობელევი კი ამბობდა: ან უნდა გადავსულიყავით, ან უნდა დავხოცილიყავითო. სიკვდილი კი ძნელი არ არის, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ჰღირს თუ არა სიკვდილი. კუროპატკინი არ იყო ისეთი თავზედური მამაცი, როგორც სკობელევი, მაგრამ გულადი კი მაინც ძრიელ იყო. ცხენიც ბევრჯელ მოუკლეს ომში, ტყვიაწამლის ყუთიც ბევრჯელ აუფეთქეს ცხვირწინ, ბევრჯელაც დასჭრეს, მაგრამ მაინც ცოცხალი დარჩა.

ერთხელ მძიმედ დაჭრილი თურმე იწვა სამკურნალოში კუროპატკინი. ვერეშჩაგინი მივიდა სანახავად და მერე უთხრა სამკურნალოს მოხელეთ: ე მაგას გაუფთხილდით, როგორც თვალის გუგას. თუნდა იმიტომ მაინც, რომ სხვა მაგისთანა კუროპატკინი არ არის ქვეყანაზედაო».

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი: პირველი აპრილი მოტყუილების დღეა და, როგორც მოგეხსენებათ, ყველა სცდილობს ამ დღეს სხვას თავი არ მოატყუილებინოს, მაგრამ სოხუმელები-კი მაინც მწარედ მოვსტყუვდით ამ დღეს: გვეწვია ფოთიდამ «არტისტი» ჟღენტი და თან მოიყვანა სცენის მოყვარულნი ქართულის წარმოდგენის გასამართად.

როგორც აფიშიდამ სჩანდა, უნდა წარმოედგინათ «პირველად» ახალი პიესა «მეორედ გაყმაწვილება», თარგმანი დავ. ერისთავისა. ყველას უკვირდა, რათ ეძახიან ამ პიესას ახალს, როდესაც ოცს წელიწადზე მეტი იცნობს საზოგადოება და თვით მთარგმნელიც ნეტარხსენებული დავ. ერისთავი დიდი ხანია ცოცხალი აღარ არისო! ბოლოს ყველამ ის დაასკვნა, რომ ალბად მართლა ახალი პიესა იქნება და არა ის, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, თორემ შეუძლებელია, რომ მაგნაირ ძნელ პიესას სცენის მოყვარულებმა შეჰბედონო. ამ იმედით მრავალი ხალხი წავიდა საყურებლად და თითქმის აივსო დარბაზი, სადაც წარმოდგენა იყო გამართული.

ათს საათზედ აიხადა ფარდა და გამოჩნდა სცენა, რომელიც წარმოადგენდა პატარა ღარიბს ოთახს, უფრო საკუჭნაოს მგავსს, ვიდრე მდიდარისა და დიდის თანამდებობის პატრონის სოსლანიანის სადგომს. ამ ოთახის ავეჯი იყო სამი ფეხმოტეხილი სკამი და ერთიც ქეჩა გადაფარებული სტოლი. მოთამაშეთა ლაპარაკიდამ სჩანდა, რომ მართლა დავ. ერისთავის მიერ გადმოთარგმნილს პიესას „მეორედ გაყმაწვილებას“ თამაშობდნენ, მაგრამ როგორ დასტანჯეს ეს მშვენიერი პიესა!! არც მიხვრა-მოხვრა, არც ენის სიმართლე და არც სცენაზედ რიგიანად თავის დაჭერა არავის ეტყობოდა...

დიმიტრი სოსლანიანის ძნელს როლს თამაშობდა ბ-ნი კაციაშვილი, მაგრამ მისი ჩაცმულობა და თამაში უფრო მეეზოვეს მოგვაგონებდათ, ვიდრე დიდის თანამდებობის პატრონს მოხელეს, რომლის ყველა მოქმედებაში ცხადად იხატება სიამაყე და მბრძანებლობა.

ბ-მა კაციაშვილმა ერთი მომენტიც ვერ გარდმოგვცა ისეთი, რომლითაც ცოტათი მაინც გაეთვალისწინებია საზოგადოებას საშინელი მდგომარეობა უკუღმართ გზაზედ დამდგარის კაცისა, რომელსაც ვერ დაუთმია ვერც საყვარელი ოჯახი და ვერც ახლად შეყვარებული ქალი.

რა სიმწვავესა ჰგრძნობს სოსლანიანი, როდესაც შვილები თავს ანებებენ და ოჯახი უცალიერდება! მისი ადამიანური ძალა მეტად სუსტია, რომ რაიმე წამალი დასდოს საშინელს წყლულებას და მხსნელად ამ მდგომარეობისაგან მხოლოდ სიკვდილს მოუწოდებს, რომ მან გარდასწყვიტოს თავისებურად საშინელი ბრძოლა, რომელიც არსებობს მის გულში...

ეს ძნელი ალაგი პიესისა მხოლოდ იმითი გამოგვიხატა ბ-მა კაციაშვილმა, რომ, როდესაც შვილები გამოეთხოვნენ, ერთი ცივად გადიხარხარა, გადააწვა სკამს და მერმედ დაეშვა ზედ. ეს იყო და ეს. საერთოდ ყოველს სულის კვეთებას და სინიდისის ქენჯნას ბ-ნი კაციაშვილი მხოლოდ მითი ჰხატავდა, რომ თვალებში არ უყურებდა მოლაპარაკეთ.

სოსლანიანის ცოლს ელისაბედს თამაშობდა ქ-ნი ფარცვანიძე. ელისაბედი, როგორც ვიცით, დარბაისელი და ქმარშვილის იდეალური მოყვარული ადამიანია. ყოველი მისი სიტყვა, გულის სიღრმემდე მისაწვდენი, სინაზით არის გამსჭვალული.

ახლა ვნახოთ, ვინ გვაჩვენა ბ-ნმა ჟღენტმა ამ ტიპის მაგივრად. პატარა და ძალზედ ახალგაზრდა გოგონა, რომლის ყოველი ქცევა ყმაწვილური იყო და ტანჯვის გამოსახატავად მხოლოდ კისერში ჩაიდებდა ხელს, როგორც ბავშვებმა იციან, როცა ჰკითხავენ, სად გიყვარვარო.

გიორგი სოსლანიანი (ბ-ნი ჟღენტი) უფრო ახალგაზრდა მობურთალსა ჰგავდა, ვიდრე ჭკვიანს და პატიოსნებით ალსავსე ჭაბუკს, რომლის ყველა სიტყვასა და მოქმედებაში რაღაც ძალა და იმედები იხატება.

ბაბალე (ქ-ნი გიორგისძე), კარგად ითამაშებდა, რომ გამსწორებელი ჰყოლოდა ვინმე.

სრულებით შეუფერებელი იყო ბ-ნი ახობაძე დავითის როლში. დავით ალნაძე მხიარულისა და მკვირცხლის კაცის ტიპია და ყველა მის მოქმედებაში გონივრული ქცევა იხატება.

ბ-ნი ახობაძე-კი უფრო კლოუნს მოგვაგონებდათ ამ როლში. ხალხი რომ გაეცინებინა, გამოვიდოდა ავანსცენაზედ, გადგამდა აქეთ-იქით ფეხებს, აიშვერდა მაღლა ხელებს და ამ გვარად ძალიან წააგავდა ჯოხზე წამოცმულს ტიკინს, რომელიც ხელ-ფეხს იშვერს ხოლმე, როდესაც ძირს დასწევთ.

ქ-ნი ივანიშვილი მარიამის როლში უფრო ქანდაკებასა ჰგავდა, ვიდრე სულიერს არსებას და არაფერი მსგავსება არა ჰქონდა იმ ცხიერ ქალთან, რომელიც არის დასურათებული პიესაში.

ისახარი (ბ-ნი ბრეგვაძე) გვარიანად იქმნა წარმოდგენილი.

მართალია, მიღებული არ არის სცენის მოყვარულთა გაკიცხვა, მაგრამ, როდესაც მათს მოქმედებას სარგებლობის ნაცვლად ზარალის მოტანა შეუძლიან, არ შეიძლება არა ვსთქვათ-რა. აქაური საზოგადოება ჯერ არ არის იქამდე განებივრებული წარმოდგენებით, რომ მაინც და მაინც კრიტიკულის თვალით შეხედოს თამაშს, და უფრო პიესის უვარგისობას მიაწერს იმ შემთხვევას, თუ ცუდი შთაბეჭდილება იქონია წარმოდგენამ, ვიდრე ცუდს თამაშს.

ამ ნაირად შეიძლება სახელი გაუტყდეს ისეთს მშვენიერს და აზრიანს პიესას, როგორიც არის «მეორედ გაყმაწვილება».

დარწმუნებული ვარ, ეს პიესა ამას შემდეგ რომ ჩვენმა საუკეთესო არტისტებმა წარმოადგინონ, ხალხი არ წავა საყურებლად, იტყვის—ერთხელ ვნახე და არ მომეწონაო.

აქაური საზოგადოება დიაღ დიდი მოყვარულია ქართულის წარმოდგენებისა, მაგრამ თუ ასე აბუჩად აიგდეს ხალხის გრძნობა როგორც ახლა, თქვენი მტერი—სულ გულს აიცრუებ თეატრზედ.

კოდო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი.

პეტერბურგი. დეპეშა ხელმწიფის მოადგილისა მის უდიდებულესობის სახელზედ 14 აპრილის თარიღით: «კონტრ-ადმირალმა იესენმა, რომელიც ზღვაში იყო კრეისერებითა დ ნაღმოსნებით, 12 აპრილს გააცალკევა ნაღმოსნები და გაჰგზავნა გენზანს. ნაღმოსნებმა ააფეთქეს რეიდზედ იაპონიის სავაჭრო გემი, რომლის ხალხიც გადასხმულ იქმნა ნაპირს. შემდეგ ნაღმოსნები იმავე დღეს ესკადრასთან დაბრუნდნენ.

შანჰაი. («რეიტ.-სააგ.») ჰგონებენ, რომ ჩინეთის კრეისერი, რომელიც გუშინ დაეჯახა წყალ ქვეშ მყოფ კლდეს, შანჰაიდან 60 მილის მანძილზედ, საბოლოოდ დაიღუპაო. ამერიკის შტატების კრეისერი «ნიუ-ორლეანი» ამაოდ სცდილობდა გემის გადარჩენას. კაცთაგან არავინ დაღუპულა.

სტამბოლი. ხმა დადის, რომ ვითომ რუსეთს მოუთხოვნია, უკანვე იქმნენ დაბარებულნი და ზოგან შემცირებულნი ის რაზმნი ჯარებისა, რომელნიც თავ-მოყრილი იყვნენ მეოთხე სამხედრო ოლქის სამზღვარზე.

მოსკოვი. მეთერთმეტე საათზედ მოვიდნენ რუდნევი და ბელიაევი «ვარიაგის» მეზღვაურებით. როცა ოფიცრები ვაგონიდან გამოვიდნენ, გენერალი მალახოვი მიესალმა, სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ თქვენ ახლა გმირნი ხართ, სიქადული რუსეთისა და ნუგეში ხელმწიფისაო. რუდნევს მიართვეს დაფნის გვირგვინი; დაფნისავე გვირგვინები მიართვეს დანარჩენ ოფიცრებსაც, ხოლო მდაბიო ჯარის-კაცთ — თაიგულები, რომლითაც მაშინვე გულნი დაიმშვენეს. მეზღვაურნი ვოკზალიდან მაცხოვრის ყაზარმებში წავიდნენ. საზოგადოებამ აღტაცებულის ძახილით გაიცილა. გზაზედ გმირებს აქეთ-იქიდან დამწკრივებული ჯარის-კაცნი და შეგირდები უდგნენ და ათასობით ხალხი ბუზივით ეხვეოდა.

მოსკოვი. მაცხოვრის ყაზარმები ბაირაღებით არის შემკული გმირთა დახვედრის გამო. შუა გულ ეზოში კამარა-შეკრული კარია ამართული ზედ—წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, რუსეთის მიწა-წყალის სახელოვანნო დამცველნო. სახელთა თქვენთა არასოდეს არ დაივიწყებს რუსეთის ერი. დიდება თქვენდა! „ურა“. სადილზედ მეზღვაურთ ქალაქმა ჟეტონები მიართვა.

ტულა. ნაშუადღამევის 3 საათზედ გამოიარეს „ვარიაგისა“ და «კორეეცის» გმირებმა. თავად-აზნაურობა გულ-მხურვალედ მიესალმა თავის აზნაურთაგანს

---

[1] ქუთაისის გუბერნიაში ჩვენს გამოჩენილს ამხანაგობას თესლი უკვე დაურიგებია; ამასთან, უთუოთ, შენახვაზედ დარიგებასაც დაურიგებდა მეაბრეშუმეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვშიშობთ—ვაი თუ მათი სალი თესლი ცუდი შენახვით არ გაფუჭდეს ამ წვიმებში. ნ. მ.

*) იხ. „ივერია“, № 80.

რუდნევს. ქალაქმა ვერცხლის სინით მიართვა პურ-მარილი, ბელიაევს—ვერცხლის თასი, ოფიცრებს—ქეტონები და მეზღვაურთ—პაკეტებით აქაური შაქრის პურები. თოფ-იარაღის ქარხანამ მიართვა რუდნევს და ბელიაევს—მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების მოდელები.

სახალინი. სახალინზედ მშვიდობიანობაა. ხელმწიფის მოადგილის განკარგულებით, დღეს მოდის იაპონიიდან კორსაკოვსკს ინგლისის გემი და უნდა წაიყვანოს აქ დარჩენილი იაპონელნი.

ბერლინი. შიჰაუსის ქარხანა ამბობს, რომ ის ხმა, ვითომ ქარხანამ მიჰყიდა რუსეთს რამდენიმე გერმანული ნაღმოსანი გემიო, შეთხუზლიაო.

მუკდენი. 13 აპრილს განთიადისას რაზმი იაპონელებისა გამოვიდა იალუში სოფელ სინდაგოუსთან. რუსნი თოფის სროლით დაუხვდნენ. ზარბაზნების მიზანში ნასროლ ყუმბარებით დააქციეს ხიდი, რომელიც იაპონელებმა გასდეს იჩჟუს ჩრდილოეთად, იაპონელები გავიდნენ ხელ და ხელ გადებულ ხიდზედ იჩჟუს სამხრეთად. ნაწილი გაღმა გამოსულ იაპონელთა ქვეითის ჯარისა და არტილერიისა გამოემართა ჩვენის სიმაგრის წინააღმდეგ, მაგრამ უკუქცეულ იქმნა.

სუმი. დედათა გიმნაზიის საფისიკო კაბინეტში, როცა საფისიკო ცდა ქონდათ, მოჰხდა აფეთქება. რამდენსამე მოწაფეს და მასწავლებელს აფეთქებამ სახე დაუშავა და აუტრუსა.

15 აპრილი

მოსკოვი. როცა ჩემულპოს ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებთ მიეგებნენ სათავად-აზნაურო საკრებულოში, ქალაქის მოურავმა ღ მარშალმა წარმოსთქვეს მჭევრმეტყველობით სავსე სიტყვანი და მიართვეს გმირთ თასნი და ქეტანები. საღამოს 10 საათზედ მეზღვაურნი, რომელთაც ათი ათასობით ხალხი გზას ულოცავდა, გაემართნენ პეტერბურგს.

ვლადივოსტოკი. გამოცხადდა ბრძანება ხელმწიფის მოადგილისა, რომ ჯარების სარდალს, გენ.-ლეიტ. ლინევიჩს ჰბარდება მოვალეობანი დაცვის უფროსობისა და ასრულება პრიამურის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობისა. მისი კითხული აღარ იქმნება ზაბაიკალის ოლქი აღარც სამხედრო და აღარც სამოქალაქო მმართველობის მხრივ.

ტოკიო. იმ ყაზახთ, რომელთაც გადასწვეს სიონ-ჩეინი, გაიარეს 24 კილომეტრის სიშორეზედ ტიანჩიონის სამხრეთად. ჩრდილო-აღმოსავლეთის კორეის მკვიდრნი სიხარულით ეგებებიან რუსებს. რაოდენობა იაპონიის გარნიზონისა გენზანში 800 კაცამდეა. ეს ჯარები სისწრაფით აგებენ ახალს სიმაგრეებს.

სეული. ვლადივოსტოკის ესკადრის მიერ ზღვაში ჩაძირული კორეველთა გემი იაპონელებმა შეიპყრეს.—გენზანში არავითარი ზარალი არ მიუყენებიათ (?).

ქრისტიანია. სახელმწიფო მინისტრმა გამოაცხადა სტორტინგის კრებაზედ, უნდა იმედი გვქონდეს, რომ ის ერთობილნი დადგენილებანი ნეიტრალიტეტისათვის, რომელთა შესახებაც ჩრდილოეთის სამი სახელმწიფო მორიგდა, საფუძვლად დაედება ამ სახელმწიფოთა მიერ სამუდამო ნეიტრალიტეტის გამოცხადებასაო.

ვენეცია. გერმანიის იმპერატორი კარლსრუეს გაემართა.

ლონდონი. «რეიტ. სააგენტოს» გაუგია, რომ ის ხმები, რომელიც გავრცელდა პეტერბურგიდან, ვითომ ინგლისმა რამდენიმე აზრი გამოსთქვა რუსეთსა და იაპონიას შორის შუა-კაცობის შესახებაო, ყოველს საფუძველს მოკლებულია. ლონდონის საქმეთა კარგად მცოდნეთა შორისაც-კი არ უწყიან, საიდან უნდა მომდინარეობდეს ასეთი ხმები.

იოკოგამა. კორეველთა იმპერატორმა და მისმა კარმა გაუგზავნა მიკადოს ნიშნად მეგობრობისა და ერთგულებისა დიდ-ძალი საჩუქრები.—პირველი ჯგუფი უცხოელთა სამხედრო აგენტებისა გაემართა, რათა ომის საქმეს თვალ-ყური ადევნოს.

ვენა. იაპონიის სამხედრო აგენტი დიდძალს ცხენებს, საომარ მასალას და საქსენონო კუთვნილებას ჰყიდულობს იაპონიის მთავრობის ხარჯითა.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო“). ბერძენთა მისსიამ მტკიცედ მოითხოვა დაკმაყოფილება სმირნის ინციდენტისათვის. ოსმალეთი მზადაა დაკმაყოფილოს საბერძნეთი, როგორც-კი საქმის გარემოება დანამდვილებით იქმნება გამორკვეული. ბერძენთა ცნობით, საბაბად ის გამხდარა, რომ საბერძნეთის ქვეშევრდომს უარი უთქვამს, არ გადვიხდი ბაჟს სახელოსნო მოწმობისათვისაო, ხოლო საბერძნეთის საელჩოს მდივანს დღეიანის მოუნდომნია ორის კავასის შემწეობით კვლავ გაეხსნა ქარხანა ბერძნისა. პოლიციას წინააღმდეგობა გაუწევია. დღეიანი გაბრუნებულა და ხუთჯერ უსროლია რევოლვერი პოლიციელებისათვის და ერთი მათგანი დაუჭრია. მდივანი შეუპყრიათ, ხოლო მერე გაუთავისუფლებიათ. — მორიგებით შეკრულ დიდთა სახელმწიფოთა ელჩებს კვლავ მოუთხოვიათ ოსმალეთისათვის გადაწყვეტა საქმისა ჟანდარმერიის შესახებ. ვალი და სომეხთა ეპისკოპოსნი ბითლისისა და მუშისა სასუნს გაემართნენ, რათა უკანასკნელად კიდევ სცადონ და ჩააგონონ ჯუფთის ბელადს ანდრანიკს, დაჰმორჩილდეს მთავრობას.

15 აპრილი.

პეტერბურგი. დეპეშა კონტრ-ადმირალის იესენისა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 14 აპრილს: «12 აპრილს გენზანს ორმა ჩვენმა ნაღმოსანმა გემმა ააფეთქა იაპონიის გემი «გოიო მარუ», 500 ტონის ჩამტევი, ხოლო წინ და წინ, რაც ზედ ხალხი იყო, გადასხა ნაპირას. იმავე დღეს, ესე საღამოს 8 საათზედ აფეთქებულ იქმნა იაპონიის გემი «ნაკანურამარუ», 220 ტონამდე ჩამტევი. ხალხი ჩვენებმა გადმოიყვანეს თავიანთ გემებზედ. ღამე, ორის ნახევარზედ აფეთქებულ იქმნა კიდევ ერთი გემი იაპონიისა «კეენშიომარუ“ 4000 ტონისა. ზედ იყო ტომრებით ბრინჯი, სამხედრო ნუზლ-სურსათი და იარაღი, აგრეთვე 1500 ტონი ქვანახშირი. გემს ჰქონდა 4 ზარბაზანი გოჩკისისა. დაგვმორჩილდა 17 ოფიცერი, 20 მდაბიო ჯარის-კაცი, 85 მუშა და 65 მეზღვაური, რომელნიც ჩვენს გემებზედ იქმნენ გადასხმულნი უოფიცრებოდ დარჩენილმა. ხმელეთზედ გადასასვლელად დანიშნულმა ჯარმა, არამც თუ ცივი უარი სთქვა და არ დაგვმორჩილდა, არ გადმოვიდა ჩვეს კრეისერზედ, არამედ წინააღდეგობაც გაგვიწია. იარაღით ხელში და ამიტომ ჩაძირულ იქმნა ზღვაში ბარგი-ბარხანითა და ნუზლ-სანოვაგითა».

პორტ-არტური 15 აპრილს (საკ. კორესპ.) «ნოვი კრაის» ატყობინებენ დეპეშით, რომ 12 აპრილს იაპონელები ემზადებოდნენ იჯუსთან იალუში გასვლას; განთიადისას, 13 აპრილს იმათი რაზმი გამოვიდა ჩვენს ნაპირზედ სოფელ სინდიაგოუსთან და გაცხარებული ბრძოლაც ჰქონდა ჩვენს ჯართან იჯუს ჩრდილოეთად. ხელ და ხელ გადებული ხიდი დანგრეულ იქმნა ჩვენის ზარბაზნების მარჯვე სროლით, იაპონელეპი განაგრძობდნენ მაინც გამოღმა გამოსვლას ხიდივით გამწკრივებულ ტივების შემწეობით. გამოსული ქვეითი ჯარი და ბატარეია, იჯუდა ნჩრდილოეთად, მოეტია ტიურენჩენის სიმაგრის ფრონტს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა ჩვენის სროლის წყალობით, იაპონიის ბატარეიამ სულაც ვერ მოახერხა ფრთა გაეშალა და სროლა დაეწყო.

ვაშინგტონი. სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი ემიგრაციის კანონების შეცვლის შესახებ.

ბელგრადი მეფემ მიიღო სადარბაზოდ გუბასტოვი, რომელიც ეწვია მთავარ-მინისტრსა და გარეშე საქმეთა მინისტრს. 15 აპრილს რწმუნების ქაღალდები წარადგინა.

პეტერბურგი. პროფესორი გენერალ-მაიორი მიხნევიჩი მთავარ-შტაბის ნიკოლოოზის აკადემიის უფროსად დაინიშნა.

რომი. 14 აპრილს საღამოს საფრანგეთის საელჩოს სასახლეში პრეზიდენტმა ლუბემ მიიწვია სადილად მეფე-დედოფალი, გრაფი ტურინისსა და მინისტრები.

პავლოგრადი. 14 აპრილს ღამე ავაზაკები დასცემიან მოქალაქეს სოსენკოს სახლს. მოხუცი ცოლ-ქმარი მძიმედ არის დაჭრილი, წაუღიათ ნაღდად 1400 მანათი და ნივთებად 500 მან. ავაზაკები ჯერ ვერ უპოვიათ.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

13 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	45,95
პარიჟში 100 ფრანკში	37,42$^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,67$^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	6—7$^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	92$^{3}/_{4}$
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	91$^{1}/_{2}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	378$^{3}/_{4}$
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	305 წვრ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	275$^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4$^{1}/_{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ შაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბთომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მ. რტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლში) ძალიან მშვენიერია. მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულღავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი. 3, **ბროლოკი** ახალი ოქროსი, «კომპასი» ანუ სხვა. 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლეს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დამღისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ-აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამღისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უზეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით:
Главному Складу Часовъ Торговаго Дома.
Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская, $^{32}/_{350}$

აზიის რუსეთსა და ციმბირში უზეოდ არ გავგზავნებთ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—6—1)

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეტამეტად სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ენახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასია სიმონის ძე მომცელაძე.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მირითადა თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს [illegible]-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—28)

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.

სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთეულება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქა და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპიროვარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 апрѣля 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.